

აღზრდის გავლენა პიროვნების თვითშეფასებაზე

DOI: <https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.20>

ნინო ბერუაშვილი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ninoberuashvili135@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0002-5794-1445>

აბსტრაქტი

წიმდებარე გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს აღზრდის სტილის გავლენის დადგენა პიროვნების თვითშეფასებაზე.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით. კვლევაში მონაწილეობდა 300 ცდისპირი, რომლის ასაკიც 18 წლიდან იწყებოდა. კვლევის ამოცანებად განისაზღვრა თვითშეფასებაზე მოქმედი ფაქტორების თეორიული ანალიზი და ემპირიული კვლევა, მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების შერჩევისა და შემუშავების საფუძველზე. კვლევაში გამოყენებულ იქნა როზენბერგის თვითშეფასების კითხვარი და აღზრდის სტილის კითხვარი.

კვლევის შედეგების მიხედვით ავტორიტეტული აღზრდის სტილის შემთხვევაში ადეკვატურმა თვითშეფასებამ 82 % გადააჭარბა, მაშინ როცა სხვა სტილის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 50 % არ აღემატებოდა. უფრო მეტიც, ინდიფერენტული აღზრდის სტილის შემთხვევაში ის მხოლოდ 21,4% დაფიქსირდა. ავტორიტარულმა აღზრდის სტილმა კი უფრო უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე ინდიფერენტული აღზრდის სტილმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღზრდის სტილი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის თვითშეფასების ჩამოყალიბების ხარისხს. იმ რესპოდენტებისთვის, რომლებიც აღიზარდნენ ავტორიტეტული და ლიბერალური აღზრდის სტილის მიხედვით, დამახასიათებელია ადეკვატური თვითშეფასება, ხოლო ავტორიტარული და ინდიფერენტული აღზრდის სტილის შემთხვევაში ჭარბობს დაბალი თვითშეფასება.

საკვანძო სიტყვები: თვითშეფასება, აღზრდის სტილი, ავტორიტეტული აღზრდის სტილი, ინდიფერენტული აღზრდის სტილი, ავტორიტარული აღზრდის სტილი.

The influence of upbringing on a person's self-esteem

Nino Beruashvili

PhD Student, Faculty of Engineering, Economics, Media Technologies and

Social Sciences,

Georgian Technical University

ninoberuashvili135@gmail.com

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0002-5794-1445>

Abstract

The aim of the present study is to determine the influence of parenting style on a person's self-esteem. The study was conducted using a quantitative research method. 300 subjects, aged 18 and over, participated in the study. The research tasks were theoretical analysis and empirical research of factors affecting self-esteem, based on the selection and development of methodological tools. The Rosenberg Self-Esteem Questionnaire and Parenting Style Questionnaire were used in the study.

According to the results of the study, in the case of the authoritative parenting style, adequate self-esteem exceeded 82%, while in the case of other styles, this indicator did not exceed 50%. Moreover, in the case of the indifferent parenting style, it was only 21.4%. At the same time, the authoritarian parenting style even showed better results than the indifferent parenting style. Based on the above, we can conclude that the upbringing style significantly determines the degree of formation of a person's self-esteem. For those respondents who were raised according to the authoritative and liberal parenting styles, adequate self-esteem is characteristic, while in the case of authoritarian and indifferent parenting styles, low self-esteem prevails.

Keywords: self-esteem, parenting style, authoritative parenting style, indifferent parenting style, authoritarian parenting style.

შესავალი

ფსიქოლოგთა ინტერესი თვითშეფასების შესახებ დიდი ხანია არსებობს. დაბალი თვითშეფასება იწვევს ემოციურ არასტაბილურობას, სოციალურ იზოლაციას და არის ფსიქიკური პრობლემების რისკ ფაქტორი.

ადექვატური თვითშეფასება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების, თავდაჯერებულობას, საკუთარი თავისადმი რწმენას, მის ქცევებს, კონტაქტს მიკრო და მაკრო სოციუმთან, მოტივაციასთან ბედნიერების განცდასა და ჯანმრთელობასთან.

თვითშეფასება განსაზღვრავს ადამიანის წარმატებას სხვადასხვა სფეროში.²⁶³ მსოფლიო მასშტაბით ჩატარებული მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ თვითშეფასებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების ადეკვატური შეფასება, თვითრეალიზაცია და შესაბამისი განვითარება გადამწყვეტი პირობაა ფსიქიკური კეთილდღეობისთვის. თავისთავად, თვითშეფასების ცნება მჭიდროდ არის დაკავშირებული ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან.

თვითშეფასების ფორმირება იწყება ბავშვობის ასაკიდან. მის ფორმირებაზე გავლენას ახდენს როგორც სოციალური გარემო, ასევე ოჯახური ურთიერთობები და პირადი გამოცდილებები.²⁶⁴

თვითშეფასება პირველად მე-18 საუკუნეში გამოიკვლია ცნობილმა შოტლანდიელმა ფილოსოფოსმა დევიდ ჰიუმმა. მისმა ნამუშევარმა ხაზი გაუსვა საკუთარი თავის აღქმის მნიშვნელობას.

მიუხედავად იმისა, რომ დევიდ ჰიუმი პირდაპირ არ განიხილავს თვითშეფასების ცნებას, მისი ანალიზი ადამიანის ბუნების, განცდების, ფუნქციის შესახებ, მნიშვნელოვანი საფუძველია თვითშეფასების ფენომენის გააზრებისათვის. ჰიუმმა წამოაყენა საკითხი, რომ პიროვნული „მე“ არ არის უცვლელი. ამ იდეით ავტორი დაუპირისპირდა იმ დროისთვის დამკვიდრებულ წარმოდგენას-პიროვნების სტაბილურ იდენტობას. მიუხედავად იმისა, რომ დევიდ ჰიუმი არ იყენებს ტერმინს „თვითშეფასება“, მან პირველმა გააცნობიერა, რომ ჩვენი წარმოდგენა საკუთარ თავზე შეიძლება იყოს ილუზია.²⁶⁵

²⁶³ ბალიაშვილი,მ., „პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები“,თბილისი, უნივერსალი, 2012.

²⁶⁴ ნადირაშვილი.დ., „სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენა“, თბილისი სანგუ, 2009

²⁶⁵ Hume, D. (1738). A Treatise of Human Nature. London: John Noon.

1890 წელს ამერიკელმა ფსიქოლოგმა და ფილოსოფოსმა, უილიამ ჯეიმსმა საფუძველი ჩაუყარა თვითშეფასების, როგორც ფსიქოლოგიის მკაფიო კონცეფციის შესწავლას თავის წიგნში „ფსიქოლოგიის პრინციპები“.²⁶⁶

„თვითშეფასების“ ნაცვლად, ჯეიმსმა გამოიყენა სიტყვა „სოციალური მე“ იმ მდგომარეობის აღსაწერად, რომელიც მოიცავს სხვების მიერ აღიარებულს. აღნიშნულმა ნაშრომმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თვითშეფასების მეცნიერულ დონეზე შესასწავლად.

მიუხედავად იმისა, რომ თეორია მეცხრამეტე საუკუნეში წარმოიშვა, მისი იდეები თვითშეფასების ცვლილების შესახებ დღესაც აქტუალურია.

სოციალური ფსიქოლოგი მორის როზენბერგი გახდა პირველი, რომელმაც მოგვაწოდა თვითშეფასების ოფიციალური დეფინიცია და აღწერდა მას, როგორც საკუთარი თავის მიმართ პოზიტიურ განცდას. თავის წიგნში, „საზოგადოება და მოზარდის თვითშეფასება“, როზენბერგმა განაცხადა, რომ თვითშეფასება მოიცავს ინდივიდის პატივისცემას.²⁶⁷

თვითშეფასების განსაზღვრება, რა არის თვითშეფასება?

რა ფაქტორები განსაზღვრავს თვითშეფასებას? როგორ ხდება მისი ჩამოყალიბება და საიდან იღებს სათავეს? ადამიანისათვის უმნიშვნელოვანესია, თუ როგორ აღიქვამს საკუთარ თავს, როცა მას აქვს შესაბამისი პასუხები კითხვაზე: „ვინ ვარ მე“, „რისი გაკეთება შემძლია“?

თვითშეფასება გულისხმობს ადამიანის, როგორც პიროვნების, ღირებულების ზოგად აღქმასა და შეფასებას. ის მოიცავს ადამიანის რწმენას, გრძნობებსა და დამოკიდებულებებს საკუთარი თავის მიმართ და ფუნდამენტურ როლს თამაშობს ადამიანის ფსიქიკური და ემოციური კეთილდღეობის ჩამოყალიბებაში.²⁶⁸

ჯანსაღი თვითშეფასება არის სრულყოფილი და ემოციურად დაბალანსებული ცხოვრების ქვაკუთხედი. ეს გავლენას ახდენს თავდაჯერებულობაზე, სხვებთან ურთიერთობაზე, გამოწვევების დაძლევის უნარზე და საერთო ბედნიერებაზე. დაბალი თვითშეფასება შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ბარიერი პიროვნული ზრდისა და კეთილდღეობისთვის, რაც აუცილებელს ხდის მის მოგვარებას და გაუმჯობესებას.²⁶⁹

²⁶⁶ James, W., (1893). The principles of psychology. Cambridge, MA: Harvard University Press. (Original work published 1890.)

²⁶⁷ Rosenberg, M., (1965). Society and the adolescent self-image. Princeton, NJ: Princeton University Press.

²⁶⁸ Rosenberg, M., (1979). Conceiving the self. New York: Basic Books.

²⁶⁹ Fennell, M., (2001). Overcoming Low Self-Esteem. New York: New York University Press

ლიტერატურული ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ საკუთარ თავზე ნეგატიური შეხედულების ჩამოყალიბებისთვის სისტემატური ძალადობა არ არის აუცილებელი. გაცილებით ნაკლებ აგრესიასა და კრიტიკასაც შეუძლია ღრმა ფსიქოლოგიური კვალის დატოვება.

დაბალი თვითშეფასების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს მშობლის მხრიდან გულგრილობა, ასევე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მშობლისგან მომორებით ყოფნა, მაგალითად, ემიგრაციის გამო.

დაბალ თვითშეფასებასთან ასოცირებული გამოცდილებები ადრეული გამოცდილებებია:


- სისტემატური დასჯა, უყურადღებობა ან ძალადობა;
- მშობლის როლის არასათანადო მორგება;
- თანატოლების წრეში ინტეგრაციის პრობლემა/სტანდარტების დაუკმაყოფილებლობა;
- სხვა ადამიანების სტრესის გამზიარებლობა;
- იმ ოჯახში, ან საზოგადოებაში აღზრდა, სადაც ფოკუსი ნეგატიურ მოსაზრებებზე კეთდებ;
- კარგი ცხოვრებისეული გამოცდილების/გრძნობების არარსებობა (სითბო, ინტერესი, ქება, სიყვარული);
- გარიყული პოზიცია სახლში;
- გარიყული პოზიცია სკოლაში;

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოვახდინეთ შემდეგი ჰიპოთეზის ფორმულირება: **პიროვნების თვითშეფასებაზე ზეგავლენას ახდენს აღზრდის სტილი.**

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად ჩავატარეთ კვლევა, სადაც მონაწილეობა მიიღო 300-მა ცდისპირმა. საკვლევ ინსტრუმენტებად გამოყენებულ იქნა: მორის როზენბერგის თვითშეფასების კითხვარი და აღზრდის სტილის ტესტი.


კვლევის შედეგების მიხედვით, რესპოდენტებში გამოვლინდა აღზრდის ოთხი ტიპი. ყველაზე მეტად გვხვდებოდა ინდეფერენტული აღზრდის სტილი 42,0 %, შემდეგ ლიბერალური და ავტორიტეტული და ავტორიტარული დაახლოებით ერთნაირი პროპორციით.

დიაგრამა 1. რესპოდენტთა განაწილება აღზრდის სტილის მიხედვით



როზერბერგის კითხვარის მიხედვით შეფასდა რესპოდენტთა თვითშეფასების მაჩვენებელი. შედეგების მიხედვით ადეკვატური და დაბალი თვითშეფასება დაახლოებით ერთნაირი პროპორციით გამოვლინდა (41-41 %), ხოლო ზედმეტად (არაადეკვატური) მაღალი რესპოდენტთა დაახლოებით 20 % ცოტა ნაკლებს ახასიათებდა.

ჯგუფების მიხედვით




ასაკის მიხედვით, ყველაზე მაღალი ადეკვატური თვითშეფასება დაფიქსირდა 18-24 წლის რესპოდენტებში (42,4 %), 23-35 წლებში 36,8 % და 36-45 წლებში კი 40,0 %. ყველაზე დაბალი თვითშეფასება დაფიქსირდა 36-45 წლებში 26,7 % და ყველაზე მაღალი 18-47 წლებში 47,0 %. მაღალი არაადეკვატური თვითშეფასება 25-35 და 36-45 ასაკობრივ ჯგუფში დაახლოებით ერთნაირი პროპორციით გამოვლინდა 31-33 % და ყველაზე ნაკლები 18-24 წლებში.

მიუხედავად იმისა, რომ 18-24 წლებში ყველაზე მაღალი იყო ადეკვატური თვითშეფასება, ასევე ძალიან მაღალი იყო დაბალი თვითშეფასება. ასეთი შედეგი შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ ამ ასაკობრივ ჯგუფში რესპოდენტები ნაკლებად არიან დასაქმებული, ნაკლებად აქვთ საკუთარი თავის რწმენა და საზოგადოებაში ჯერ კიდევ საკუთარი ადგილის პოვნითა და დამკვიდრებით არიან დაკავებული.

36-45 წლებში რესპოდენტებს მეტ-ნაკლებად აქვთ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა დაგროვილი, სამსახურიც ასე თუ ისე ნანახია, ხშირ შემთხვევაში, ოჯახიც შექმნილია, საზოგადოებრივი სტატუსიც თითქმის მოპოვებული აქვთ. ეს კი ბევრ ინდივიდში არაადეკვატურად მაღალი თვითშეფასებას აყალიბებს. ჩვენი მოსაზრებით, მსგავსი პროცესი რომ არ განვითარდეს, განათლება და აღზრდის სტილმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა უნდა მოახდინოს.

დიაგრამა 2. რესპოდენტთა განაწილება ასაკისა და თვითშეფასების ჯგუფების მიხედვით



განათლების მიხედვით, უმაღლესი განათლების მქონე რესპოდენტთა 2/3 ოდნავ მეტს ჰქონდა ადეკვატური თვითშეფასება, ზოგადი და ბაკალავრი განათლების შემთხვევაში დაახლოებით ერთნაირი შედეგი დაფიქსირდა 45-50 პროცენტის ფარგლებში ბაკალავრიატის განათლების უპირატესობით.

ყველაზე დაბალი თვითშეფასება ჰქონდათ ზოგადი განათლების ადამიანებს, 45,0 %, ხოლო ყველაზე დაბალი ნიშნული უმაღლესი განათლების რესპოდენტებს აღმოაჩნდათ 18,5 %.

მაღალი არაადეკვატური თვითშეფასება ყველაზე მეტად დაფიქსირდა ბაკალავრიატის შემთხვევაში 23,3 % და ყველაზე ნაკლებად ზოგადი განათლების შემთხვევაში.

ანალიზის შედეგების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ განათლება გავლენას ახდენს თვითშეფასების ფორმირებაზე. განათლების დონე რაც უფრო იმატებს, იზრდება ადეკვატური თვითშეფასება, თუმცა, ასევე იზრდება მაღალი არაადეკვატური თვითშეფასება და მცირდება დაბალი თვითშეფასება.

დასკვნა

თვითშეფასება რთული ფენომენია და მის ჩამოყალიბებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. კვლევის მიხედვით, რესპოდენტების დაახლოებით 60% ჰქონდა დაბალი ან მაღალი არაადეკვატური თვითშეფასება, რაც საზოგადოებრივი წყობისთვის უარყოფით ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ემპირიული ანალიზის საფუძველზე, დადასტურდა ჩვენი ჰიპოთეზა.

აღნიშნული კვლევის მიხედვით, თვითშეფასების ფორმირებაზე გავლენას ახდენს ალზრდის სტილი და ასევე, ზოგადი ფაქტორები: ასაკი, განათლება და პროფესია.

კვლევის შედეგების მიხედვით ასაკისა და განათლების მატებასთან ერთად იზრდებოდა თვითშეფასების მაჩვენებლები. ამის მიზეზი ცოდნა-გამოცდილების დაგროვებაა, რაც ინდივიდს ადეკვატურ აღქმასთან და თვითშეფასებასთან აახლოებს.

დაბალი თვითშეფასების მიზეზების იდენტიფიცირება ცვლილებისკენ გადადგმული პირველი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ძლიერი და სარწმუნო შეიძლება ჩანდეს წარსულ გამოცდილებაში ფესვადგმული თვითშეფასება, ის ხშირად მიკერძოებული და არასწორია, რადგან ეფუძნება პიროვნების სუბიექტურ მსოფლმხედველობას.

იმ შემთხვევებში, როდესაც პიროვნების თვითშეფასება მუდმივად დაბალი იყო, მისი ბირთვული რწმენა-შეხედულებები ჩამოყალიბდა ადრეულ ასაკში, როდესაც ინდივიდი ვერ ახერხებდა უკან დახევას, სიტუაციის გაანალიზებას და ამ რწმენის მართებულობის ეჭვქვეშ დაყენებას. მარტივად რომ ვთქვათ, მას არ შეეძლო იმის გაცნობიერება, რომ ეს იყო მოსაზრება და არა ფაქტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბალიაშვილი მ. „პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები“, თბილისი, უნივერსალი, 2012.
2. ნადირაშვილი დ. „სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენა“, თბილისი სანგუ, 2009
3. Fennell M. (2001). *Overcoming Low Self-Esteem*. New York: New York University Press
4. Hume D. (1738). *A Treatise of Human Nature*. London: John Noon.
5. James W. (1983). *The principles of psychology*. Cambridge, MA: Harvard University Press. (Original work published 1890.)
6. Rosenberg M. (1965). *Society and the adolescent self-image*. Princeton, NJ: Princeton University Press.
7. Rosenberg M. (1979). *Conceiving the self*. New York: Basic Books.